საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/55

ქ. ბათუმი 25 ივნისი, 2021 წ.

„ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის №06-01/42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე და 23-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-8 და მე-40 მუხლების, აკადემიური საბჭოს ოთხი წევრის მომართვის (MES 0 21 0000626314, 24.06.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. „ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 10 ივნისის №06-01/42 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) დადგენილების მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყოს 2021 წლის 28 ივნისს, 11:00 სთ-ზე.

6. აკადემიური საბჭოში ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის შერჩევისათვის ფარული კენჭისყრა (არჩევნები) ჩატარდეს 2021 წლის 28 ივნისს, 13:00 სთ-ზე.“

ბ) დადგენილების დანართი 2-ში (არჩევნების გამოცხადების განცხადება) შეიცვალოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დადგენილ ვადაში რეგისტრირებულ კანდიდატთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სამოქმედო გეგმების განხილვა აკადემიური საბჭოს მიერ დაიწყება 2021 წლის 28 ივნისს, 11:00 სთ-ზე, ხოლო არჩევნები (ფარული კენჭისყრა) ჩატარდება 2021 წლის 28 ივნისს, 13:00 სთ-ზე.“

2. აკადემიური საბჭოს სამდივნომ უზრუნველყოს ბსუ-ს ვებგვერდზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევნების გამოცხადების შესახებ განთავსებული განცხადების წინამდებარე დადგენილებით განხორციელებული ცვლილებების

გათვალისწინებით რედაქტირება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის ვებგვერდზე განთავსებისათვის წარდგენა.

3. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ეთხოვოს წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უზრუნველყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების მოწვევა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის კანდიდატის სამოქმედო გეგმის განხილვაზე აკადემიური საბჭოს სხდომაზე, 2021 წლის 28 ივნისს, 11:00 სთ-ზე.

5. დადგენილება დაეგზავნოს მართვის ორგანოებს, ფაკულტეტებს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და სხვა სტრუქტურულ ერთეულებს, ასევე ეცნობოს დარეგისტრირებულ კანდიდატს.

6. დადგენილება ძალაში შევიდეს ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**